ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №348016

ნომერი: AR178539

თარიღი : 07.09.2012

გაცემის თარიღი : 12.09.2012

გაცნობის თარიღი : 10.10.2012

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ცაბაძე , სატრანსპორტო გაერთიანების ტერიტორიიდან; ქალაქი თბილისი , ქუჩა ცაბაძე , N 8-ბ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მალხაზ სინაურიძე პ/ნ 01017012277
- თბილისი ამაღლების I ჩიხი N 4

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ–ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლის პასუხად გაცნობებთ: ვინაიდან აღნიშნული ობიექტი მდებარეობს ქალაქის ერთერთ მნიშვნელოვან ადგილას, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შენობა-ნაგებობებს და მათზე განთავსებულ კონკრეტული დეტალების ვიზუალურ მხარეს, როგორც არქიტექტურულ–მოცულობითი თვალსაზრისით, ისე მოსაპირკეთებელი მასალებისა და ფერის გადაწყვეტის ნაწილში, სასურველია გამოყენებულ იქნას თანამედროვე მოსაპირკეთებელი მასალები და წარმოდგენილ იქნას შენობის მოცულობით–არქიტექტურული გადაწყვეტის ალტერნატიული ვარიანტი. ზემოთქმულიდან გამომდინარე წარმოსადგენი იქნება განახლებული ფოტომონტაჟი (დეტალურად მასალისა და ზომების მითითებით, როგორც თითოეული დახლის ასევე საერთო გაბარიტული ზომებით), სადაც სრულად იქნება გათვალისწინებული სამსახურის რეკომენდაციები.

ასევე: საჯარო რეესტრის მონაცემებით საპროექტო ტერიტორიის მესაკუთრეები არიან შპს "თეთრი კიდობანი" და შპს "თეთრი ქალაქი" ხოლო თქვენს მიერ წარმოდგენილი იჯარის ხელშეკრულება გაფორმებულია შპს "TRANS PARKING"-სა და თქვენს შორის, რაც იწვევს გაუგებრობას. უნდა წარმოადგინოთ მიწის ნაკვეთის მესაკუთრეების შპს "თეთრი კიდობანი"-ს და შპს "თეთრი ქალაქი"-ს თანხმობა საპროექტო სამუშაოებზე.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.